



7645/3-23/21 2 19072021



7645/3-23/21
19-07-2021

ჩხორწყუს მუნიციპალიტეტის მერს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მოიცავს სარეზერვო ფონდებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მსგავსად, სარეზერვო ფონდები გათვალისწინებულია ასევე ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულთა ბიუჯეტებში. (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 99-ე მუხლი)

შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ 2020 წლის 1 იანვრიდან ამ წერილზე პასუხების მომზადების პერიოდამდე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების ჩამონათვალი კერძოდ:

- სრული ოდენობა გაწეული ხარჯის შესახებ.
- გამოყოფილი თანხების ოდენობა ჩაშლილად თარიღის მითითებით (თვე, რიცხვი, წელი).
- გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა, ღონისძიებების ჩამონათვალი რაზეც მოხდა სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა და თითოეულ მათგანზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოთხსენებული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხატია დეკანოიძე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია



*5000 საქართველო, ჩხოროწყუ,
დ. აღმაშენებლის ქ. №1

ტელ: 5(99) 856 577

ელ.ფოსტა: INFO.GAMGEOBA@GMAIL.COM



წერილის ნომერი: **110-1102132330**

თარიღი: **19/11/2021**

პინი: **8285**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ხატია დეკანოიძეს

ქალბატონო ხატია, თქვენი 2021 წლის 19 ივლისის N-7645/3-23/21 წერილის
პასუხად გაცნობებთ, რომ 2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე მუნიციპალიტეტის
სარეზერვო ფონდიდან თანხების ხარჯვას ადგილი არ ჰქონია.

პატივისცემით,

დათო გოგუა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





7599/3-23/21
19-07-2021

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მოიცავს სარეზერვო ფონდებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მსგავსად, სარეზერვო ფონდები გათვალისწინებულია ასევე ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულთა ბიუჯეტებში. (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 99-ე მუხლი)

შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ 2020 წლის 1 იანვრიდან ამ წერილზე პასუხების მომზადების პერიოდამდე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების ჩამონათვალი კერძოდ:

- სრული ოდენობა გაწეული ხარჯის შესახებ.
- გამოყოფილი თანხების ოდენობა ჩაშლილად თარიღის მითითებით (თვე, რიცხვი, წელი).
- გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა, ღონისძიებების ჩამონათვალი რაზეც მოხდა სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა და თითოეულ მათგანზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოთხსენებული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხატია დეკანოიძე



დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF DUSHETI MUNICIPALITY



KA990155585916221

საქართველო, 1800, ქ.დუშეთი, რუსთაველის ქ. № 27

+995(346)221989

www.dusheti.gov.ge

27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA

+995(346)221987

info@dusheti.gov.ge

№ **06/23088**

08 / სექტემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ხატია დეკანოიძეს

თქვენი 2021 წლის 19 ივლისის N7599/3-23/21 წერილის პასუხად, გიგზავნით ინფორმაციას დუშეთის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული ღონისძიებების შესახებ.

დანართი: 2 (ორი) ფაილი.

პატივისცემით,

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგდამსმულია
ელექტრონულად



გურამ სეხნიაშვილი

ინფორმაცია

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული ღონისძიებების შესახებ

N	ღონისძიების დასახელება	თანხა (ლარი)
1	სტიქიის შედეგად დაზარალებული მგზავრების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა	3655,00
2	გუდამაყრის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში დიდთოვლობის შედეგად ჩახერგილი გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის 180 ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა	432,00
3	შატილის ადმინისტრაციულ ერთეულში და არხოტის ხეობაში მცხოვრები 48 ოჯახებისთვის საკვები პროდუქტების შესყიდვა	4730,40
4	სოფ. შატილის მოსახლეობის ქ. თბილისიდან სოფ. ბარისახომდე ტრანსპორტირებისათვის 80 ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა	196,00
5	ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ბიოტუალეტების განსათავსება	4500,00
6	ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით სპეციალური სადეზინფექციო საშუალებებით ქუჩების დამუშავებისათვის 300 ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა	690,00
7	დუშეთის მუნიციპალიტეტის უკანაფშავის ადმინისტრაციული ერთეულში სოფ. შუაფხო-უკანაფშავის გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის 100 ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა	170,00
8	ახალი კორონა ვირუსის (COVID – 19) პანდემიასთან დაკავშირებით დუშეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული 1000 (ათასი) ბენეფიციარისათვის სასურსათო პროდუქტის შესყიდვა	50350,00
9	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულში სოფ. ბაზალეთში და სოფ. ჩირდილელიანთკარში მისასვლელი საავტომობილო გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის 200 ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა	350,00
10	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბარისახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფ.ჭალისოფლის სამანქანე გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის 100 ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა	175,00
11	ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით დუშეთის მუნიციპალიტეტის სასტუმროებში დროებით საკარანტინო რეჟიმში მყოფი პირების ტრანსპორტით მომსახურება	9900,00
12	დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში მისასვლელი გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის 180 ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა	315,00

13	ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. დოლასქედში მცხოვრები მაცვალა ჩოხელისათვის და ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. დავითურნში მცხოვრები გივი დავითურისათვის მზის მინის სისტემის შესყიდვა	1440,00
14	დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის ადმინისტრაციული ერთეულში სოფ. სეთურნში ხევის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოებისათვის 100 ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა	175,00
15	დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის უზრუნველსაყოფად 400 ლიტრი საწვავის შესყიდვა	760,00
16	დუშეთი, მილიახვრიანთ დასახლებაში დაზიანებული გზის მიმდინარე შეკეთებისათვის 100 ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა	180,00
17	დუშეთის მუნიციპალიტეტის უკანაფშავის ადმინისტრაციული ერთეულში თხილიანა - შაუფხოს გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის 60 ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა	111,00
	სულ ჯამი:	78129,40

ინფორმაცია

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული ღონისძიებების შესახებ

N	ღონისძიების დასახელება	თანხა (ლარი)
1	ჭონქაძის, ხეობის, ფასანაურის, ქართლის ადმინისტრაციული ერთეულებში გზების და მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ოძისში სანიაღვრე არხის გაწმენდითი სამუშაოებისათვის 600 ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა	1500,00
2	შატილის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. კისტანში მცხოვრები მინდია ჭინჭარაულის ოჯახისთვის მზის მინი სისტემის შესყიდვა	760,00
3	დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის უზრუნველსაყოფად შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიისა და ჯგუფების წევრთა გადასადგილებლად 410 ლიტრი საწვავის შესყიდვა	1168,50
4	გუდამაყრის და ხეობის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლებში მისასვლელი გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის 340 ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა	918,00
5	ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. წინკობანში მიმავალი საავტომობილო გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის 130 ლიტრი სადიზელო საწვავის შესყიდვა	351,00
	სულ ჯამი:	4697,50



7621/3-23/21 2 19072021



7621/3-23/21

19-07-2021

მესტიის მუნიციპალიტეტის მერს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მოიცავს სარეზერვო ფონდებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მსგავსად, სარეზერვო ფონდები გათვალისწინებულია ასევე ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულთა ბიუჯეტებში. (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 99-ე მუხლი)

შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ 2020 წლის 1 იანვრიდან ამ წერილზე პასუხების მომზადების პერიოდამდე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების ჩამონათვალი კერძოდ:

- სრული ოდენობა გაწეული ხარჯის შესახებ.
- გამოყოფილი თანხების ოდენობა ჩაშლილად თარიღის მითითებით (თვე, რიცხვი, წელი).
- გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა, ღონისძიებების ჩამონათვალი რაზეც მოხდა სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა და თითოეულ მათგანზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოთხსენებული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხატია დეკანოიძე




ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობა
მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA, CITY HALL OF MESTIA MUNICIPALITY

N 871

25/08/2021 წელი

საქართველოს პარლამენტის წევრს
 ხატია დეკანოიძეს

ქალბატონო ხატია,




თქვენი 2021 წლის 19 ივლისის №7621/3-23/21 წერილის (მერიის რეგ. #1451-01/02; 19.07.2021) პასუხად, თანდართული ცხრილის სახით, გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას, მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების შესახებ (პერიოდი: 01.01.2020 - 16.08.2021).

ორგანიზაციული კოდი	გადარიცხვის თარიღი	თანხა ლარებში	გადახდის დანიშნულება	დაფინანსების წყარო
საგანგებო ბიუჯეტი	08/05/2020	16,250.00	მოსახლეობისთვის გადასაცემი ფქვილის შეძენა	თვითმმართველობის სარეზერვო ფონდი 53_მერის_ბრძ._06/05/2020
საგანგებო ბიუჯეტი	25/05/2020	29,225.00	მოსახლეობისთვის გადასაცემად საკვები პროდუქტის შეძენის ხარჯი	თვითმმართველობის სარეზერვო ფონდი 53_მერის_ბრძ._06/05/2020
საგანგებო ბიუჯეტი	18/09/2020	3,075.00	მედიკამენტის და სხვა სამკურნალო საშუალების შეძენის ხარჯი (მიმდინარე წლის ხარჯი)	თვითმმართველობის სარეზერვო ფონდი 53_მერის_ბრძ._06/05/2020
მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	17/03/2020	78,009.36	გზის მიმდინარე შეკეთების ხარჯი	თვითმმართველობის სარეზერვო ფონდი 30_მერის_ბრძ._11/03/2020
მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	04/11/2020	56,461.05	სოფ. მულახში გზის საყრდენი კედლის მშენებლობა	თვითმმართველობის სარეზერვო ფონდი 151/1_მერის_ბრძ._03/11/2020
მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	08/02/2021	32,930.00	გზის გაწმენდის სამუშაოები	თვითმმართველობის სარეზერვო ფონდი 5_მერის_ბრძ._27/01/2021
მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	24/03/2021	17,070.00	გზის გაწმენდის სამუშაოები	თვითმმართველობის სარეზერვო ფონდი 5_მერის_ბრძ._27/01/2021
მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	29/03/2021	10,000.00	საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებისა და ზამთრის შენახვის სამუშაოების ხარჯი	თვითმმართველობის სარეზერვო ფონდი ბრძანება 27_მერის_ბრძ._15/03/2021

მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	01/04/2021	47,211.00	საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებისა და ზამთრის შენახვის სამუშაოების ხარჯი	თვითმართველობის სარეზერვო ფონდი ბრძანება 27_მერის_ბრძ._15/03/2021
მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	13/04/2021	21,202.54	საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებისა და ზამთრის შენახვის სამუშაოების ხარჯი	თვითმართველობის სარეზერვო ფონდი ბრძანება 27_მერის_ბრძ._15/03/2021
მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	13/05/2021	23,561.00	საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებისა და ზამთრის შენახვის სამუშაოების ხარჯი	თვითმართველობის სარეზერვო ფონდი ბრძანება 27_მერის_ბრძ._15/03/2021
მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	24/05/2021	23,025.46	საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებისა და ზამთრის შენახვის სამუშაოების ხარჯი	თვითმართველობის სარეზერვო ფონდი ბრძანება 27_მერის_ბრძ._15/03/2021
მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	24/05/2021	25,000.00	საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება	თვითმართველობის სარეზერვო ფონდი 49_მერის_ბრძ._21/05/2021
მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	16/08/2021	4,146.00	საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებისა და ზამთრის შენახვის სამუშაოების ხარჯი	თვითმართველობის სარეზერვო ფონდი 93_მერის_ბრძ._09/08/2021
მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	16/08/2021	22,533.00	სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის მიმდინარე რემონტის ხარჯი	თვითმართველობის სარეზერვო ფონდი 93_მერის_ბრძ._09/08/2021

პატივისცემით,



კაპიტონ ჟორჟოლიანი
მესტიის მუნიციპალიტეტის მერი



7626/3-23/21
19-07-2021

ქალაქ რუსთავის მერს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მოიცავს სარეზერვო ფონდებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მსგავსად, სარეზერვო ფონდები გათვალისწინებულია ასევე ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულთა ბიუჯეტებში. (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 99-ე მუხლი)

შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ 2020 წლის 1 იანვრიდან ამ წერილზე პასუხების მომზადების პერიოდამდე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების ჩამონათვალი კერძოდ:

- სრული ოდენობა გაწეული ხარჯის შესახებ.
- გამოყოფილი თანხების ოდენობა ჩაშლილად თარიღის მითითებით (თვე, რიცხვი, წელი).
- გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა, ღონისძიებების ჩამონათვალი რაზეც მოხდა სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა და თითოეულ მათგანზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოთხსენებული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხატია დეკანოიძე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 38-3821231126
თარიღი: 19/08/2021
პინი: 0051

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის შემოსული თქვენი N7626/3-23/21 წერილის (რეგისტრირებული დოკუმენტი: N02-3821200234-38) პასუხად გაცნობებით, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2017 წლის 25 იანვარს მიიღო „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ N183 დადგენილება. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 02 თებერვლის N198 ბრძანებით შეიქმნა სათათბირო საბჭო, რომელიც იხილავს სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ დადგენილებით გათვალისწინებულ საკითხებს, კერძოდ სარეზერვო ფონდიდან ფინანსდება: ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში კატასტროფისაგან, სტიქიური მოვლენებისაგან (ხანძარი, მიწისძვრა, მეწყერი, ჩამოცვენა, ჩამოშლა, ქვათა ცვენა, კასტრული ჩამოქცევა, ღვარცოფი, წყალდიდობა, წვიმის (თოვლის) წყალმოვარდნა, ქარიშხალი, გრიგალი, ძლიერი ქარბუქი, დიდთოვლობა, ძლიერი გაყინვა, მსხვილი სეტყვა, ძლიერი წვიმები, ხანგრძლივი წვიმები, კოკისპირული წვიმები, გვალვა, ზვავი და სხვა ბუნებრივი ან/და ტექნოგენური ან/და საგანგებო ხასიათის მოვლენები) გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისა და დაზარალებულთა ფინანსური დახმარების ხარჯები, გადაუდებელი სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ვითარების შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ხარჯები; საგანგებო და საომარი მოქმედების დროს შექმნილი საფრთხეებისაგან მშვიდობიანი მოსახლეობის საევაკუაციო და დაცვითი (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვითი) ღონისძიებების ხარჯები; ბ) ხარჯები, როდესაც საფრთხე ექმნება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ქონებას ან საქართველოს კანონმდებლობით დაცულ სხვა სიკეთეს; გ) ადგილობრივი ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯები დაავადებულ პირთა მედიკამენტოზური, ქირურგიული და სხვა ფორმით მკურნალობისათვის, ხარჯები მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ პირთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამით გაუთვალისწინებელი ან/და შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული თანხის ამოწურვის შემდეგ მძიმე ან გადაუდებელი შემთხვევების დროს გასაწევი ხარჯები; დ) ადგილობრივი ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯები დაზიანებულ მდგომარეობაში არსებული საცხოვრებელი ფართის შეკეთების ან/და აღდგენის მიზნით, აგრეთვე, ხარჯები (არაუმეტეს 3 (სამი) თვის ოდენობით) ისეთ პირთა საცხოვრებელი ბინების უზრუნველყოფის მიზნით, რომელთაც აქვთ საცხოვრებელი სახლები, თუმცა მათში ცხოვრება საფრთხეს წარმოადგენს მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის; ე) ხარჯები ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

ისეთი სამუშაოების ჩატარებისათვის, როდესაც დაზიანდა ან განადგურდა საინჟინრო ინფრასტრუქტურა (გზა, ხიდი, ნაგებობა, და სხვა) და აუცილებლობას წარმოადგენს დროულად იქნეს ჩატარებული სამუშაოები მუნიციპალიტეტის, მოსახლეობის კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით; ვ) ადგილობრივი ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ის ხარჯები, რომელიც საჭიროა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების ახალგაზრდულ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, ასევე ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ის ხარჯები, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა კულტურული, სპორტული, საფესტივალო და სადღესასწაულო ღონისძიებების ჩასატარებლად; ზ) სხვა ისეთი ხარჯების დაფინანსება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტით და რომელიც კანონით აკრძალული არ არის.

2020-2021 წლებში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ ინფორმაციას წარმოგიდგენთ დანართის სახით.

დანართი: „6“ ფურცელი

პატივისცემით,

კახა გურული

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ
რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



2020 წლის სარეზერვო ფონდი

- N1 ოქმი - 16.01.2020 წ. - დაფინანსდა 27 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 21 307,38 ლარით;
- N2 ოქმი - 31.01.2020 წ. - დაფინანსდა 41 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 19 850,89 ლარით;
- N3 ოქმი - 13.02.2020 წ. - დაფინანსდა 14 სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 10 635,40 ლარით;
- N4 ოქმი - 24.02.2020 წ.- დაფინანსდა 41 სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 19 587,19 ლარით;
- N5 ოქმი - 10.03.2020 წ.- დაფინანსდა 48 სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 30 024,48 ლარით; ასევე დაფინანსდა 2 მოქალაქის სწავლის საფასური 1337,50 ლარით;
- N6 ოქმი - 13.03.2020 წ.- გამოიყო 50 000,00 ლარი კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად;
- N7 ოქმი - 17.03.2020 წ.- გამოიყო 35 000,00 ლარი კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად;
- N8 ოქმი - 23.03.2020 წ. – გამოიყო 30 000,00 ლარი პანდემიის პირობებში რუსთავის ბაგა-ბაღების აღსაზრდელების კვებითი უზრუნველყოფისათვის სასურსათო კალათების შესაძენად.
- N9 ოქმი - 26.03.2020წ. - დაფინანსდა 34 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 10 320,22 ლარით;
- N10 ოქმი - 31.03.2020წ.- დაფინანსდა 10 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 3 042,14 ლარით;
- N11 ოქმი - 01.04.2020წ. - გამოიყო 167 000,00 ლარი პანდემიის პირობებში რუსთავის ბაგა-ბაღების აღსაზრდელების კვებითი უზრუნველყოფისათვის სასურსათო კალათების შესაძენად.
- N12 ოქმი - 07.04.2020 წ. - დაფინანსდა 8 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 7 777,80 ლარით;
- N13 ოქმი - 08.04.2020 წ. - გამოიყო 20 000,00 ლარი მოსახლეობისათვის საჭირო მედიკამენტების უზრუნველყოფისათვის;
- N14 ოქმი - 16.04.2020 წ. - დაფინანსდა 5 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 4 309,61 ლარით;
- N15 ოქმი - 22.04.2020 წ. - გამოიყო 103 000,00 ლარი პანდემიის პირობებში მოქალაქეთათვის საკვები პროდუქტების შეძენისა და კარანტინში მყოფი პირების ტრანსპორტირებისათვის;
- N16 ოქმი - 23.04.2020 წ.- დაფინანსდა 10 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 7 784,01 ლარით;
- N17 ოქმი - 29.04.2020 წ. - დაფინანსდა 9 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 7 841,01 ლარით;

- N18 ოქმი - 01.05.2020წ. - გამოიყო 10 000,00 ლარი ოანდემიის პირობებში მოქალაქეთათვის საკვები პროდუქტების შესაძენად;
- N19 ოქმი - 05.05.2020 წ.- დაფინანსდა 17 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 7 785,44 ლარით;
- N20 ოქმი - 06.05.2020 წ. - გამოიყო 3 850,00 ლარი პანდემიის პირობებში ვეტერანთა და მათთან გათანაბრებული პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნით;
- N21 ოქმი - 07.05.2020 წ.- გამოიყო 20 000,00 ლარი მოსახლეობისათვის საჭირო მედიკამენტების უზრუნველყოფისათვის;
- N22 ოქმი - 08.05.2020 წ. - დაფინანსდა 9 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 5 002,19 ლარით;
- N23 ოქმი - 14.05.2020წ. - გამოიყო 50 000,00 ლარი პანდემიის პირობებში მოქალაქეთათვის საკვები პროდუქტების შესაძენად და 10 000,00 ლარი მოსწავლეებისათვის დისტანციური განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით ინტერნეტით უზრუნველსაყოფად.
- N24 ოქმი - 14.05 2020წ.- დაფინანსდა 11 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 6 014,56 ლარით;
- N25 ოქმი - 20.05.2020წ. - გამოიყო 9 428,00 ლარი კარანტინში მყოფი პირების ტრანსპორტირებისათვის;
- N26 ოქმი - 20.05.2020წ. - დაფინანსდა 16 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 4 955,26 ლარით;
- N27 ოქმი - 22.05.2020წ. - გამოიყო 5 000,00 ლარი მოსახლეობისათვის საჭირო მედიკამენტების უზრუნველყოფისათვის;
- N28 ოქმი - 29.05.2020წ.- დაფინანსდა 25 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 10 273,02 ლარით;
- N29 ოქმი - 05.06.2020წ. -დაფინანსდა 22 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 8 326,58 ლარით;
- N30 ოქმი - 12.06.2020წ. -დაფინანსდა 26 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 7 011,39 ლარით;
- N31 ოქმი - 18.06.2020წ. -დაფინანსდა 13 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 7 299,60 ლარით;
- N32 ოქმი - 25.06 2020წ. - დაფინანსდა 23 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 12 082,62 ლარით;
- N33 ოქმი - 03.07.2020წ. - დაფინანსდა 37 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 16 374,50 ლარით; ასევე გამოიყო 7 000,00 ლარი ხანძრის შედეგად დაზიანებული 2 მოქალაქის საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოებისთვის.

N34 ოქმი - 10.07.2020წ.- დაფინანსდა 35 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 20 908,48 ლარით;

N35 ოქმი - 17.07.2020წ.- დაფინანსდა 22 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 16 004,55 ლარით;

N36 ოქმი - 24.07.2020 წ. - დაფინანსდა 3 მოქალაქის ხანძრისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო თანხა 18 500, 00 ლარი;

N37 ოქმი - 24.07.2020წ.- დაფინანსდა 23 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 13 123,48 ლარით;

N38 ოქმი - 31.07.2020წ.- დაფინანსდა 4 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 2 385,00 ლარით; გამოიყო 5 000, 00 ლარი ხანძრის შედეგად დაზიანებული მოქალაქის საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოებისთვის.

N39 ოქმი - 07.08.2020წ.- დაფინანსდა 9 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 4 500,53 ლარით; გამოიყო 8 400,00 ლარი „მხედველობის მხრივ შშმ პირთა რეკრეაციის და რეაბილიტაციის პროექტი“ განხორციელებისთვის; გამოიყო 2 000,00 ლარი შშმ პირთა ჯანმრთელობისათვის საჭირო ხმოვანი წნევის საზომი აპარატების შესაძენად;

N40 ოქმი - 14.08.2020წ. - დაფინანსდა 3 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 2 547,80 ლარით;

N41 ოქმი - 27.08.2020წ. - დაფინანსდა 45 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 28 035,62 ლარით;

N42 ოქმი - 31.08.2020წ. -დაფინანსდა 1 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისთვის საჭირო თანხა 2 000,00 ლარით;

N47 ოქმი - 27.11.2020წ. - დაფინანსდა 14 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 13 840,35 ლარით; გამოიყო 26 000, 00 ლარი ხანძრის შედეგად დაზიანებული 2 მოქალაქის საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოებისთვის,

N48 ოქმი - 04.12.2020წ. - გამოიყო 200 000,00 ლარი მოქალაქეთათვის საკვები პროდუქტების შესაძენად;

N49 ოქმი - 04.12.2020წ. -დაფინანსდა 28 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 14 555,94 ლარით;

N50 ოქმი - 11.12.2020წ.- დაფინანსდა 1 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისთვის საჭირო თანხა 2 186,20 ლარით;

N51 ოქმი - 11.12.2020წ. - დაფინანსდა 18 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 7 852,24 ლარით;

N53 ოქმი - 17.12.2020წ. - დაფინანსდა 13 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 12 719,23 ლარით;

N54 ოქმი - 25.12.2020წ. - გამოიყო 1155,00 ლარი კორონავირუსით გარდაცვლილი 2 მოქალაქის გადმოსვენებისა და დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებლად.

2021 წლის სარეზერვო ფონდი

N1 ოქმი - 20.01.2021წ. - დაფინანსდა 2 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 1 396.72 ლარით;

N2 ოქმი - 29.01.2021წ. - დაფინანსდა 24 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 17 362.89 ლარით;

N3 ოქმი - 05.02.2021 წ. - დაფინანსდა 3 სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 2 107.13 ლარით;

N4 ოქმი - 12.02.2021 წ.- დაფინანსდა 37 სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 20 195.00 ლარით;

N5 ოქმი - 22.02.2021 წ.- დაფინანსდა 2 სამედიცინო მომსახურებისთვის საჭირო თანხა 4 200.00 ლარით; ასევე დაფინანსდა მოქალაქის ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ოპერაციული მკურნალობის მიზნით გერმანიაში გასამგზავრებლად საჭირო მგზავრობის საფასური 990.00 ლარით;

N6 ოქმი - 26.02.2021 წ.- დაფინანსდა 51 სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 26 052.63 ლარით;

N8 ოქმი - 12.03.2021 წ. - დაფინანსდა 39 სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 22 017.41 ლარით;

N9 ოქმი - 26.03.2021წ. - დაფინანსდა 54 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა და ერთი მოქალაქის სწავლის საფასურის სულ ჯამში 31 446.64 ლარით.

N10 ოქმი - 08.04.2021წ.- დაფინანსდა 47 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 23 138.02 ლარით;

N11 ოქმი - 16.04.2021წ. - გამოიყო 1 385.00 ლარი ერთი მოქალაქის მგზავრობის თანხის დასაფინანსებლად;

N12 ოქმი - 23.04.2021წ. - დაფინანსდა 53 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 33 720.68 ლარით;

N13 ოქმი - 11.05.2021წ. - დაფინანსდა 6 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 6 756.00 ლარით;

N14 ოქმი - 13.05.2021წ. - დაფინანსდა 1 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისთვის საჭირო თანხა 207.50 ლარით; 2 მოკრივეს, რომლებმაც მოიპოვეს 2 წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონობა და მწვრთნელ მასწავლებელს წახალისების მიზნით გადაეცათ ფულადი ჯილდო 3000.00 ლარის ოდენობით.

N15 ოქმი - 14.05.2021წ. - დაფინანსდა ერთი მოქალაქის სამედიცინო მომსახურების ღირებულება 1500.00 ლარით;

N16 ოქმი - 19.05.2021წ.- დაფინანსდა 51 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა და ასევე ერთი ახალშობილი მოქალაქის ჯანმრთელობისათვის საჭირო სამედიცინო სპეციალური კვება (უცილო ფეკილი 10კგ, უცილო რძის ფხვნილი - 6ც და უცილო ბრინჯი 4ც) - ჯამში 26 052.63 ლარით;

N17 ოქმი - 28.05.2021წ. - დაფინანსდა 12 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 7 094.00 ლარით;

N18 ოქმი - 04.06.2021წ. - დაფინანსდა ერთი მოქალაქის სამედიცინო მომსახურება 5000.00 ლარით;

N19 ოქმი - 04.05.2021წ.- დაფინანსდა 57 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 42 331.33 ლარით;

N20 ოქმი - 08.06.2021წ. - დაფინანსდა 2 მოქალაქის სამედიცინო მომსახურების ღირებულება 3 422.82 ლარით;

N21 ოქმი - 11.06.2021წ. - დაფინანსდა 20 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა და 1 მოქალაქის განცხადება ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, ჯამში 26 784.96 ლარით;

N22 ოქმი - 18.06.2021წ. - დაფინანსდა 51 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 28 600.62 ლარით;

N23 ოქმი - 02.07.2021წ. - დაფინანსდა 67 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 60 645.87 ლარით;

N24 ოქმი - 02.07.2021წ.- პოლონეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ნიჩბოსნობაში დაკავებული პირველი ადგილისთვის, ფულადი ჯილდო გადაეცა ერთ მოქალაქეს 2 000.00 ლარის ოდენობით.

N25 ოქმი - 05.07.2021წ. - დაფინანსდა ერთი მოქალაქის სამედიცინო მომსახურება 433.00 ლარით;

N26 ოქმი - 17.07.2021წ. - დაფინანსდა 64 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა 34 882.86 ლარით;

N27 ოქმი - 16.07.2021წ. - დაფინანსდა წარმატებული სტუდენტის კალიფორნიაში სწავლის მიზნით გასამგზავრებლად საჭირო მგზავრობის საფასური 2 150.00 ლარის ოდენობით;

N28 ოქმი და N29 ოქმი -19.07.2021წ.- სლოვაკეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მკლავჭიდში, რუსთაველმა სამმა სპორტსმენმა მოიპოვა 4 ოქროს, 4 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი, წახალისების მიზნით გადაეცათ ფულადი ჯილდო, ჯამში 8 000.00 ლარის ოდენობით;

N30 ოქმი - 23.07.2021წ. - დაფინანსდა 41 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა, 2 წარმატებული სტუდენტის სასწავლებლად საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის საჭირო მგზავრობის საფასური და ერთი მოქალაქის სწავლის საფასური ჯამში 36 138.35 ლარით.

N31 ოქმი - 28.07.2021წ. - დაფინანსდა 27 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა, 2 მოქალაქის მგზავრობის საფასური და ერთი მოქალაქის სწავლის საფასური ჯამში 14 787.12 ლარით.

N32 ოქმი - 30.07.2021წ. - დაფინანსდა 2 მოქალაქის განცხადება, ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო თანხა, ჯამში 14 268.00 ლარის ოდენობით.